თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს **2020** წლის 1 მაისის სხდომის

ოქმი № 4

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 2 მაისს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 32 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. სასწავლო კურსებში შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპონენტების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

4. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

5. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია სურმანიძის სადისერტაციო ნაშრომის:„ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში“

(მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორიმ. ლობჟანიძე/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

ილია გოგიტაური - ,,საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების მექანიზმები საქართველოში: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 1 მაისის №3 სხდომის დღის წესრიგი:

1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. სასწავლო კურსებში შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპონენტების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

4. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

8. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია სურმანიძის სადისერტა-ციო ნაშრომის: „ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

ილია გოგიტაური - „საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების მექანიზმები საქართველოში: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

10. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: . ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები რომელიც შევიდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში:

1. ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამას დაემატა ერთი სწავლის შედეგი, კურსდამთავრებულს შეეძლება:
,,სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება სწავლების რეალურ პროცესში";

2. ახალი სწავლის შედეგის შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა სწავლის შედეგების, მათი შეფასებისა და სწავლის შედეგები-მიზნების შესაბამისობის რუკებში;

3. ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად გადამუშავდა ორი სასწავლო კურსის სილაბუსი ,,მეცნიერების მენეჯმენტი" და ,,უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მომზადებული ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს : პროფესორებმა გ. ღაღანიძემ, ნ. თოდუამ

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მომზადებული ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა მაღალრეიტინგული იმპაქტ ფაქტორის მქონე ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალების საორიენტაციო ჩამონათვალი:

Scopus ბაზაში ინდექსირებული ღია დაშვების ჟურნალები:

1. **Universal Journal of Educational Research**

ISSN: 2332-3205 (Print)
ISSN: 2332-3213 (Online)
ვებ-გვერდი:http://www.hrpub.org/journals/jour_info.php?id=95
ინდექსირება:Scopus, NSD - Norwegian Centre for Research Data, EBSCO A-to-Z, Ulrich, Google Scholar

2. **Journal of Science and Technology (JST)**

ISSN: 0128-7680
ვებ-გვერდი:http://www.pertanika.upm.edu.my/JST.php
ინდექსირება:SCOPUS, ELSEVIER, WEB OF SCIENCE(ESCI), Google Scholar, ISC, MyCite

3. **Strategic Management Journal (SMJ)**

ISSN:1097-0266 - Online
ვებ-
გვერდი:https://onlinelibrary.wiley.com/page/journal/10970266/homepage/productinformation.html
ინდექსირება:SCOPUS (Elsevier), Web of Science (Clarivate Analytics), ABI/INFORM Collection (ProQuest), COMPENDEX (Elsevier), INSPEC (IET), ProQuest, Social Science Premium Collection (ProQuest), Social Sciences Citation Index (Clarivate Analytics)

4. **International Journal of Innovative Technology and Exploring Engineering (IJITEE)**

E-ISSN: 278-3075

ვებ-გვერდი:https://www.ijitee.org/

ინდექსირება:Scopus, Mendeley, Crossref, Index Copernicus International, Google Scholar, ISSN Centre at the National Science Library, DOAJ, J-Gate, WorldCat, DRJI, BEIESP, Research Gate, ROAD, Digg

5. **Macroeconomics and Finance in Emerging Market Economies**
ISSN: 1752-0843 Print
ISSN: 1752-0851 Online
ვებ-გვერდი:https://www.tandfonline.com/action/journalInformation?journalCode=reme20
ინდექსირება:Scopus, ABI/INFORM Complete, ABI/INFORM Global, ProQuest Entrepreneurship, Professional ABI/INFORM Complete, Professional ProQuest Central, ProQuest Central, , NHN, University of Bremen, USDA and RePEc

6. **International Journal of Energy Economics and Policy (IJEEP)**

ISSN: 2146-4553
ვებ-გვერდი:https://www.journals.elsevier.com/international-journal-of-production-economics
ინდექსირება:SCOPUS (Impact factor (SJR): 0,386), IJEEP is Monitored by SSCI Thomson Reuters, RePEc and IDEAS (Impact Factor: 0.787), Cabell's Directory of Publishing Opportunities in Economics & Finance, Australian Business Deans Council (ABDC)'s Journals' Rating List , DOAJ, Excellence in Research for Australia (ERA), Ulrich's Periodicals Directory, Crossref, ProQuest - ABI/INFORM,Academic Journals Database, EBSCO, IndexCopernicus

7. **International Economics and Economic Policy**

ISSN 1612-4812 Electronic
ISSN 1612-4804 Print
ვებ-გვერდი:https://www.springer.com/journal/10368
ინდექსირება: SCOPUS, EBSCO Business Source, ECONIS, Google Scholar, OCLC WorldCat Discovery Service, ProQuest ABI/INFORM, Research Papers in Economics (RePEc), SCImago

8. **Journal of Public Policy and Marketing**

ISSN 07439156
ვებ-გვერდი:https://journals.sagepub.com/metrics/PPO

ინდექსირება:Scopus, Clarivate Analytics: Social Sciences Citation Index (SSCI), EBSCO: Business Source Complete, ProQuest, PsycINFO

9. **Industrial Marketing Management**

ISSN 00198501
ვებ-გვერდი:https://www.elsevier.com/journals/industrial-marketing-management/0019-8501/abstracting-indexing
ინდექსირება:Scopus, Social Sciences Citation Index, ANBAR, ABI/Inform, Russian Institute of Scientific Information Abstracts, Current Contents, American Marketing Association Abstracts, PsycINFO, INSPEC

10. **Asian Economic and Financial Review**

ISSN: 2222-6737 Online
ISSN: 2305-2147Print
ვებ-გვერდი:http://www.aessweb.com/journals/5002
ინდექსირება:Scopus, World Bank Abstracts (USA), Excellence in Research for Australia (ERA)- ERA Journal ID-210150, Cabell's Dictionaries (USA), Ulrich Periodicals Directory: Business and Economics (USA), ABI/INFORM Global Proquest Info & Learning Co, ProQuest ABI/INFORM Global, ECONIS (Germany), Index Copernicus International (Poland, 2012), DOI, Crossref, Google Scholar, Microsoft Academic Search, RePEc, Worldcat, CiteFactor

11. **Asia-Pacific Journal of Business Administration**

ISSN: 1757-4323
ვებ-გვერდი:https://www.emeraldgrouppublishing.com/products/journals/journals.htm?id=APJBA
ინდექსირება:Scopus (ranked), ABI/INFORM, Australian Business Deans Council (ABDC), Cabell's, Emerging Sources Citation Index (Clarivate Analytics), INSPEC

12. ჟურნალი - „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე"

ISSN 0132-1447
ვებ-გვერდი:http://science.org.ge/moambe/moambe-geo.html
ინდექსირება:Scopus indexed

13. **Entrepreneurship and Sustainability Issues**

ISSN 2345-0282 (online)
ვებ-გვერდი:https://jssidoi.org/jesi/
ინდექსირება:Scopus, CrossRef, Google Scholar, EconBiz, Ulrich's Periodicals Directory, Index Copernicus International, Clarivate Analytics,Web of Science, DOAJ, Open Academic Journals Index

14. **Journal of Business Economics and Management**
ISSN: 1611-1699
eISSN: 2029-4433
ვებ-გვერდი:https://journals.vgtu.lt/index.php/JBEM
ინდექსირება:Elsevier Bibliographic Databases: SCOPUS, Academic Journal Guide 2018;Clarivate Analytics databases: Social Sciences Citation Index (Web of Science Core Collection); Journal Citation Reports (SSCI edition);TOC Premier;ERIH PLUS;Google Scholar

15. **Agriculture & Food Security**
ISSN: 2048-7010 (electronic)
ვებ-გვერდი:https://agricultureandfoodsecurity.biomedcentral.com/about
ინდექსირება:Scopus, DOAJ

16. **International Journal of Entrepreneurial Behavior & Research**
ISSN: 1355-2554
ვებ-გვერდი: https://www.emerald.com/insight/publication/issn/1355-2554
ინდექსირება:Scopus

17. **Journal of Business Finance and Accounting**

ISSN: 1468-5957 online
ვებ-გვერდი: https://onlinelibrary.wiley.com/journal/14685957
ინდექსირება:Scopus

18. **International Journal of Management Practice (IJMP)**
ISSN online 1741-8143
ISSN print 1477-9064
ვებ-გვერდი:https://www.inderscience.com/jhome.php?jcode=ijmp
ინდექსირება:Scopus (Elsevier), Academic OneFile (Gale), cnpLINKer (CNPIEC), Expanded Academic ASAP (Gale), Business Collection (Gale)

19. **RAUSP Management Journal**

ISSN: 2531-0488
ვებ-გვერდი:https://www.emeraldgrouppublishing.com/services/publishing/rausp/index.htm
ინდექსირება: Scopus, Clarivate Analytics

20. **Public Policy and Administration**

ISSN online 2029-2872
ISSN print 1648-2603
ვებ-გვერდი:https://www3.mruni.eu/ojs/public-policy-and-administration/index
ინდექსირება: Scopus, EBSCO Publishing, Inc., C.E.E.O.L., PROQUEST and ULRICH'S

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს მაღალრეიტინგული იმპაქტ ფაქტორის მქონე ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალების საორიენტაციო ჩამონათვალი.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის პორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილებით (№5347/10, 08.04.2020 და №5348/10, 08.04.2020)

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2004 წლის და მაგისტრატურის 2006 წლის კურსდამთვრებულ გიორგი ლუარსაბიშვილის დიპლომის დანართები. საქმის შესწავლილსას საჭიროგახდა 2004 წლის ბაკალავრიატის კურსდამთვრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი ანზორის ძე ლუარსაბიშვილი 2000 წლი სმისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზ ეჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/744, 2.08.2000), საიდანაც 2001 წელს განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით გადაყვანილი იქნა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკის საქმიანობის მართვის სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე (ბრძანება №4/827, 10.09.2001).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის დასწრებული სწავლების კურსდამთავრებულ გიორგი ლუარსაბიშვილს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 7 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №3) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 7 ივლისის №4/755 ბრძანებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №12447 (სარეგისტრაციო №01/295) რეგისტრირებულია გიორგი ლუარსაბიშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილი გიორგი ლუარსაბიშვილის სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართში აღნიშნულია: „გიორგი ლუარსაბიშვილი, დაბადებული 1983 წ. 2000 წელს ჩაირიცხა თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის

სპეციალობაზე. 2001 წელს გადმოვიდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე. ... 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაცია".

გიორგი ლუარსაბიშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 7 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 7 ივლისის №4/755 ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3, 7.06.2004) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს (მ.შ. გ. ლუარსაბიშვილი) ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით" მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით".

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით რათა დაზუსტდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3, 7.06.2004) გადაწყვეტილება და გიორგი ლუარსაბიშვილს მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით" ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით". აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა

და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3, 7.06.2004) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის დასწრებული განყოფილების 2004 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ლუასრსაბიშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით“.
2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 7 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (№3) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმი №3, 7.06.2004)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართის შემთხვევაში.

მოისმინეს: სასწავლო კურსებში შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპონენტების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სასწავლო კურსებში შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპონენტები

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სასწავლო კურსებში შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპონენტები.

მოისმინეს: სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურები:

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა

1. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

1.1. სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტისმიერ აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო.

1.2. ნაშრომში უნდა აისახოს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმად ასისტემური ცოდნა, მათ შორის, ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.

1.3. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია კომპლექსური ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და შეფასება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება. ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

1.4. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი ასწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას.

მუხლი2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

2.1. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ს აკადემიური პერსონალის წევრი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

2.2. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც.

2.3. ხელმძღვანელი ვალდებულია, თითოეულ სტუდენტს დაეხმაროს ნაშრომზე მუშაობის პროცესში, კერძოდ:
ა) გამართოს რეგულარული პირისპირ და/ან ონლაინ შეხვედრები სტუდენტთან ან საჭიროებისამებრ სტუდენტების ჯგუფთან;
ბ) მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია ნაშრომის მომზადების ზოგადი რეგულაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხობის წესებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით, ასევე აკადემიური ეთიკის, მონაცემთა დაცვის, პლაგიატის შესახებ, აუხსნას სტუდენტს ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები.
გ) გაუწიოს კონსულტაცია კვლევის კონცეფციის შემუშავების პროცესში (მაგ.: საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება, კვლევის დიზაინის შემუშავება, კვლევის მეთოდების განსაზღვრა და სხვ.).
დ) დაეხმაროს სტუდენტს ნაშრომის მომზადების დროს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში.
ე) დაეხმაროს სტუდენტს ვადების განსაზღვრასა და დროის ეფექტიანად განაწილებაში, ნაშრომის შესრულების ძირითადი ეტაპების დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურის განსაზღვრაში, კვლევისათვის საჭირო მონაცემთა მოპოვებასა და ანალიზის დაგეგმვაში.

2.4. ხელმძღვანელმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს.

მუხლი3. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა

3.1. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
3.2.უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები წარმოადგენენ ნაშრომს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენაზე.

მუხლი4. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმების წესი
4.1. სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
2. ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე თემის სათაურის მითითებით);

3. სარჩევი (შინაარსი);
4. შესავალი;
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი (რომელიც მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის მეთოდების აღწერას, კვლევის შედეგებს);
6. დასკვნა;
7. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
8. დანართები (არსებობის შემთხვევაში).

4.2. სამაგისტრო ნაშრომის მიმართ განისაზღვრება სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნები (დანართი #1: სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და ტექსტის დაკაბადონების წესი), თუკი სხვა რამ არ არის დადგენილი ფაკულტეტის მიერ.

მუხლი5. აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატი

5.1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეებია:

ა) პლაგიატი, რაც გულისხმობს გამიზნულად თუ უნებლიედ სხვისი ნაშრომის (იდეების, ცნებების, ფორმულების, გრაფიკების, ცხრილების, გამოსახულებების, დიზაინის და სხვა) საკუთრად წარმოჩენასა და გავრცელებას ავტორის/წყაროს შესაბამისად მითითების (საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის) გარეშე;

ბ) თვითპლაგიატი, რაც გულისხმობს სხვა ნაშრომში გამოთქმული საკუთარი მოსაზრებების გამეორებას ორიგინალური წყაროს მითითების გარეშე, ან საკუთარი ნაშრომის ორჯერ ან მეტჯერ წარდგენას სხვადასხვა დავალების ფარგლებში;

გ) კომპილაცია, რაც გულისხმობს საკუთარი დამუშავებისა და ინტერპრეტაციის გარეშე საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების/ნაშრომების გამოყენებას და დაჯგუფებას;

დ) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

5.2. სტუდენტის მიერ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი ნაშრომი პლაგიატზე მოწმდება ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

5.3. დაცვამდე მინიმუმ 30 დღით ადრე სტუდენტი, ფაკულტეტის მიერ ელექტრონულ პროგრამაში (მაგ.: e-Learning) საგანგებოდ გახსნილ ველში ტვირთავს ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად. პლაგიატის შემოწმების ანგარიში გადაეგზავნება ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც აფასებს ნაშრომს და პლაგიატის არსებობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აცნობებს ფაკულტეტს.

5.4. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი ნიშნავს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო კომისიას და ნიშნავს პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღს.

5.5. აკადემიური კეთილსინდისიერების საგანგებო კომისია შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრებისგან, არანაკლებ 3 წევრისა და არაუმეტეს 9 წევრისგან.

5.6. სტუდენტს წერილობითი ფორმით ეგზავნება ინფორმაცია განხილვის თარიღის შესახებ. სტუდენტი ესწრება მისი ნაშრომის განხილვას, სადაც სარგებლობს სიტყვის უფლებით. სტუნდენტს აქვს უფლება მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.

5.7. კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც წერილობითი სახით ეცნობება ფაკულტეტის ადმინისტრაციას და სტუდენტს.

მუხლი6. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და განხილვის ვადები

6.1. სამაგისტრო ნაშრომი დაცვამდე 30 დღით ადრე წარედგინება ფაკულტეტის ადმინისტრაციას შემდეგი ფორმით: სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს ყდაში აკინძული A4 ფორმატის ფურცელზე;

6.2.ნაშრომს თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის დადებითი შეფასება სამაგისტრო ნაშრომზე.

6.3.სამაგისტრო ნაშრომის სრული ელექტორნული ვერსია (PDF ფორმატში) – CD დისკზე ჩაწერილი;

მუხლი 7. ნაშრომის რეცენზირება

7.1. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებისთვის შესაბამისი კათედრა გამოყოფს, სულმცირე, ერთ რეცენზენტს.

7.4.რეცენზენტ(ებ)ი შეიძლება იყოს თსუ-ს შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალი, ემერიტუსი, თსუ-ს დოქტორანტი, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის პროფილით მომუშავე საჯარო მოსამსახურე, ვისაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ე) რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.

ვ) დაცვამდე 5 დღით ადრე რეცენზენტი წერილობითი ფორმით წარმოადგენს რეცენზიას, რომელშიც ის აფასებს ნაშრომს ფაკულტეტის მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. რეცენზენტის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით.

ზ) რეცენზენტის დასკვნა საჯაროდ ეცნობება მაგისტრანტს და კომისიას.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობა

8.1. სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვაზე დაიშვება სტუდენტი, რომელმაც:

ა) გაიარა სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სრულად დაფარა სწავლის საფასური;

ბ) დროულად წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი და დააკმაყოფილა წინა მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული აქვს პროგრამით განსაზღრული სასწავლო კომპონენტი.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვა

9.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება 5-7 წევრისგან.

9.2. მაგისტრანტისსამეცნიეროხელმძღვანელიშეიძლებაიყოსკომისიისწევრი, მაგრამ ის თავისი მაგისტრანტისპრეზენტაციისშეფასებაშიარმონაწილეობს.

9.3. ნაშრომისსაბოლოოშეფასებაიწერებაკომისიისმიერ.

მუხლი 10. სამაგისტრონაშრომისშეფასება

10.1. სამაგისტრონაშრომიფასდებაიმავეანმომდევნოსემესტრში, რომელშიცმაგისტრანტიდაასრულებსმასზემუშაობას.

10.2. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია ხდება შესაბამისი კომისიის წინაშე, რასაც მოჰყვება დისკუსია.

10.3. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

10.4. სამაგისტრო ნაშრომის კრიტერიუმებს ადგენს ფაკულტეტი.

10.5. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.
10.6. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
10.7. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
10.8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგი ფიქსირდება შეფასების ოქმში/უწყისში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
10.9. დაცვიდან 2 (ორ) სამუშაო დღეში შეფასების ოქმი/უწყისი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს მაგისტრანტის სასწავლო ბარათში შეფასების ქულის შესატანად.
10.10. სამაგისტრო ნაშრომი, თანდართული ხელმძღვანელის დასკვნით და რეცენზიით, ინახება სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან/ შესაბამის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში/მიმართულებაზე/კათედრაზე.

მუხლი 11. გარდამავალი დებულები:

11.1. პლაგიატის გამოვლენისას, დამთხვევის 25%-ზე მეტი ოდენობა აუცილებლად საჭიროებს პლაგიატზე გადამოწმებას.25%-ზე ნაკლები მაჩვენებელი შეიძლება უგულებლყოფილ იქნას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურები.

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია სურმანიძის სადისერტაციო ნაშრომის: „ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმამ. ლობჟანიძემ საბჭოს წარუდგინა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია სურმანიძის სადისერტაციო ნაშრომის: „ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

ოპონენტები:

1. ასოცირებული პროფესორი ნაზი ჭიკაიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
2. ეკონომიკის დოქტორი ალექსანდრე ცერცვაძე

სადისერტაციო საბჭოს წევრები:

1. პროფესორი რევაზ გველესიანი
2. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი)
3. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
4. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი)
5. ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
7. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
10. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
11. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
12. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
13. ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია სურმანიძის სადისერტაციო ნაშრომის: „ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი), დაცვის კომისია და შემფასებლები.

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი ნაზი ჭიკაიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
2. ეკონომიკის დოქტორი ალექსანდრე ცერცვაძე

სადისერტაციო საბჭოს წევრები:

1. პროფესორირევაზგველესიანი
2. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის სახელობისეკონომიკისინსტიტუტისდირექტორი)
3. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
4. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი)
5. ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
7. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
10. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
11. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
12. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
13. ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:
ილია გოგიტაური -,,საბანკო ზედამხედველობისა დარეგულირების მექანიზმები საქართველოში: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორიმ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა, დოქტორანტ ილია გოგიტაურის - სადისერტაციო თემა - ,,საბანკო ზედამხედველობისა დარეგულირების მექანიზმები საქართველოში: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები".

მეცნიერ-ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ილია გოგიტაურის - სადისერტაციო თემა -,,საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების მექანიზმები საქართველოში: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები".

მეცნიერ-ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე